



შპს “წინანდლის მამულები” საკუთრებაში არსებული ობიექტის გარე ელ.
მომარაგება თელავის მუნიციპალიტეტის სოფ. წინანდალში

ქვე-პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგი და
გარემოსდაცვითი მართვის გეგმა

მსოფლიო ბანკის დაფინანსებით

რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტი
(SRMIDP)

კერძო-საჯარო ინვესტიცია

ივლისი 2018

ქვე-პროექტის აღწერა

ქვე-პროექტის ტერიტორია მდებარეობს თელავის მუნიციპალიტეტში – კახეთის რეგიონში, აღმოსავლეთ საქართველო. ქვე-პროექტით გათვალისწინებულია შპს “წინანდლის მამულების” საკუთრებაში არსებული ტერიტორიის (საკადასტრო კოდით 53.03.39.061) ელ. მომარაგების უზრუნველყოფა. ელ. მომარაგების სიმძლავრე შეადგენს 3000 კვტ-ს 10 კვტ ძაბვაზე, ჯამური სიგრძით 2,164 კმ. კაბელები მოეწყობა მიწის ქვეშ და ახმეტა-თელავი-ბაკურციხის გზის გასწვრივ. საქართველოს საგზაო დეპარტამენტმა გასცა წერილობითი თანხმობა, აღნიშნული სამუშაოების განხორციელებაზე. ტრანსფორმატორის, ან ელ. ქვე-სადგურის მოწყობის საჭიროება არ არის და შესაბამისად, ქვე-პროექტით არ არის გათვალისწინებული. ქვე-პროექტის ტექნიკური პროექტი მომზადებულია სს ენერგო-პრო ჯორჯიას მიერ და სამშენებლო სამუშაოებსაც აღნიშნული კომპანია განახორციელებს.

(ა) ზემოქმედების განსაზღვრა

აქვს თუ არა ქვე-პროექტს საგრძნობი ზემოქმედება გარემოზე ?	პროექტს საგრძნობი დადებითი ზემოქმედება აქვს სოციალურ გარემოზე
რაში მდგომარეობს ქვე-პროექტის მნიშვნელოვანი სასარგებლო და უარყოფითი ზეგავლენა გარემოზე?	ქვეპროექტს სავარაუდოდ ექნება გრძელვადიანი დადებითი ზემოქმედება გარემოზე, ხოლო მოკლევადიანი ზემოქმედება შეფასებულია მინიმალურად და ტიპიურია მცირე და საშუალო მასშტაბის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის ურბანულ ლანდშაფტზე: ხმაური, მტვერი, ვიბრაცია და გამონახოლქვი სამშენებლო ტექნიკის ექსპლოატაციის პროცესში; სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა, ტრანსპორტის მოძრაობისა და ფეხით მოსიარულეთათვის გადაადგილების შეფერხება.
აქვს თუ არა ქვე-პროექტს რაიმე მნიშვნელოვანი პოტენციური ზემოქმედება ადგილობრივ ან ზემოქმედების ქვეშ მყოფ თემებზე?	ახალი მიწების ათვისება და განსახლება მოსალოდნელი არ არის. გრძელვადიანი სოციალური ზემოქმედება სასარგებლო იქნება. ადგილობრივ მოსახლეობაში გაიზრდება

	<p>დასაქმებულთა რიცხვი:</p> <ul style="list-style-type: none"> • ქვე-პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელების პროცესში (დროებითი შემოსავლის შექმნა); • ქვე-პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების შემდეგ აღდგენილი ინფრასტრუქტურის შეკეთება/მოვლა-პატრონობა (გრძელვადიანი შემოსავლის შექმნა) • ტურისტებისთვის გათვალისწინებულ დაწესებულებებში (სასტუმროები, რესტორნები, მაღაზიები, გასართობი ცენტრები, და ა.შ.); <p>უარყოფითი ზემოქმედება მოკლევადიანია და შემოიფარგლება სამშენებლო მოედნის არეალით. იგი დაკავშირებულია ზემოთ აღწერილ შესაძლო დისკომფორტთან.</p>
<p>რა ზემოქმედება აქვს ქვე-პროექტს ადამიანის ჯანმრთელობაზე ?</p>	<p>ელ. გადამცემი ხაზები მოეწყობა მიწის ქვეშ, ახმეტა-თელავი-ბაკურციხის გზის გასწვრივ, შესაბამისად, ელ. გადამცემის ინფრასტრუქტურა არ შექმნის ელექტრო-მაგნიტურ ველს. კაბელებს, ისევე როგორც კაბელების თხრილებს (ტრანშეებს) ექნებათ დამცავი ფენები.</p> <p>სამშენებლო ტერიტორიის მახლობლად საცხოვრებელი, ან საჯარო შენობები არ არის, შესაბამისად, ზემოქმედება მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე აღნიშნული ქვე-პროექტის ფარგლებში, შეადგენს ნულს.</p>

ბ) შემამსუბუქებელი ზომები

<p>ქვეპროექტის პროექტირების რა ალტერნატივები იქნა განხილული და რომელი შემამსუბუქებელი ზომები იქნა შემოთავაზებული?</p>	<p>გამომდინარე იქიდან, რომ ქვეპროექტის შემოთავაზება მოხდა სს ენერგო-პროჯორჯიას მიერ, სხვა ალტერნატივების განხილვა არ მომხდარა. სამშენებლო ეტაპის მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების შერბილება შესაძლებელი იქნება მარტივად – სამშენებლო ტერიტორიის დემარკაციის გზით, ასევე სატრანსპორტო მოძრაობის მართვით, სამშენებლო მექანიზმების სათანადო ტექ. უზრუნველყოფით, დამტკიცებული სამუშაო საათების დაცვით და წინასწარ შეთანხმებულ ადგილებზე სამშენებლო ნარჩენების გატანის სათანადო ორგანიზებით.</p> <p>სამშენებლო კომპანიამ უნდა უზრუნველყოს მუშების ჯანმრთელობის და უსაფრთხოების დაცვა, პირადი დაცვის აღჭურვილობის უზრუნველყოფით. მუშების პირადი დაცვის აღჭურვილობა შესაბამისობაში უნდა იყოს მიღებულ საერთაშორისო პრაქტიკასთან (ყოველთვის საჭიროა დამცავი ჩაფხუტის ტარება, ასევე საჭიროების მიხედვით – ნიღბების და სპეც. სათვალეების, ღვედების და სპეც. ფეხსაცმელების გამოყენება). სამშენებლო ტერიტორიებზე შესაბამისი ნიშნების განთავსებით, მუშები ინფორმირებულები იქნებიან ძირითადი წესების და რეგულაციების შესახებ, რომელთა დაცვა აუცილებელია.</p> <p>ქვეპროექტის ტექნიკური პროექტის ავტორი, ასევე ქვეპროექტის განმახორციელებელი იქნება სს ენერგო-პრო-ჯორჯია, რომელიც იქნება</p>
---	---

	ერთადერთი ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს ქვე-პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელებას და რომელსაც გააჩნია სათანადო კვალიფიკაცია და გამოცდილება.
წინა ანალოგიური პროექტების რომელი გამოცდილებები იქნა გათვალისწინებული პროექტირებისას?	მგფ-ს აქვს ძალიან დიდი გამოცდილება სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული საშუალო და ფართო მასშტაბიანი ქვე-პროექტების განხორციელებაში.
იყვნენ თუ არა ჩართულები დაინტერესებული თემები ქვეპროექტის მომზადებაში და იქნა თუ არა ადეკვატურად გათვალისწინებული მათი ინტერესები და ცოდნა?	ა/ე

(დ) კატეგორიზაცია და დასკვნა

სკრინინგის შედეგებზე დაყრდნობით,

ქვეპროექტი კლასიფიცირებულია, როგორც

A

B

C

გარემოსდაცვითი სკრინინგის დასკვნა:

1. ქვე-პროექტი უარყოფილია
2. ქვე-პროექტი მიღებულია

მიღების შემთხვევაში და რისკების შეფასების საფუძველზე, ქვეპროექტის მომზადება საჭიროებს:

1. გარემოსდაცვითი ღონისძიებების საკონტროლო სიის შევსებას მცირე სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის
2. გარემოზე ზემოქმედების მიმოხილვას, გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმის შემუშავების ჩათვლით

უფლებამოსილი ქვეპროექტების რისკების შეფასება

ბუნებრივი და სოციალური გარემოს სენსიტიური მიმღებნი ქვეპროექტის ობიექტის ირგვლივ	არის / არ არის?	მნიშვნელოვანი პოტენციური ზემოქმედება / მაღალი რისკი (აღნიშნეთ)	უმნიშვნელო პოტენციური ზემოქმედება / დაბალი რისკი (აღნიშნეთ)
ბუნებრივი ადგილსამყოფელი, მოწყვლადი ეკოსისტემები	არის	ტყეები; დაჭაობებული არეალები; ფრინველების ბუდობისა და გადამფრენი ფრინველების დასვენების ადგილები, ცოცხალი ბუნების კორიდორები, რომელიც დაცულ ტერიტორიებს აერთებს, ციცაბო ფერდობები, ალპური და სუბალპური ზონები, მწვანე მინდვრები,	ძლიერ ტრანსფორმირებული ურბანული ან სასოფლო ლანდშაფტები, სამრეწველო ობიექტები, ყავისფერი მინდვრები
			✓
ბუნებრივი ადგილსამყოფელი, მოწყვლადი ეკოსისტემები	არ არის	ტყეები; დაჭაობებული არეალები; ფრინველების ბუდობისა და გადამფრენი ფრინველების დასვენების ადგილები, ცოცხალი ბუნების კორიდორები, რომელიც დაცულ ტერიტორიებს აერთებს, ციცაბო ფერდობები, ალპური და სუბალპური ზონები, მწვანე მინდვრები,	ძლიერ ტრანსფორმირებული ურბანული ან სასოფლო ლანდშაფტები, სამრეწველო ობიექტები, ყავისფერი მინდვრები
		ა/გ	ა/გ
გრუნტის წყლების რესურსები	არ არის	რეგიონული/სახელმწიფო მნიშვნელობის დანალექები, მინერალური და/ან თერმული წყლების წყაროები, გრუნტის წყლების მაღალი დონე	გრუნტის წყლების ნორმალური დონე
		ა/გ	ა/გ

ღირებული ლანდშაფტები	არ არის	დაცული ლანდშაფტები, გამორჩეული ესთეტიკური ღირებულების ლანდშაფტები, მწვანე მინდვრები, რეკრეაციული ზონები	ძლიერ ტრანსფორმირებული ურბანული ან სასოფლო ლანდშაფტები, სამრეწველო ობიექტები, ყავისფერი მინდვრები
		ა/გ	ა/გ
ფიზიკური კულტურული რესურსები	არ არის	კულტურის ძეგლების ინდივიდუალური ან საერთო დაცვის ზონები, ისტორიული ან ტრადიციული ობიექტები (რელიგიური, სასაფლაო, რიტუალური)	კულტურული რესურსების არარსებობა
		ა/გ	ა/გ
დასახლებული პუნქტები	არ არის	20-ზე მეტი ზემოქმედების ქვეშ მყოფი მოსახლე; საჭიროა ფიზიკური ადგილმონაცვლეობა	20-ზე ნაკლები ზემოქმედების ქვეშ მყოფი მოსახლე; საჭირო არ არის ფიზიკური ადგილმონაცვლეობა
		ა/გ	ა/გ
გეოლოგიური საფრთხეები: ძლიერი ეროზია, მეწყერები, დატბორვა	არ არის	აღრიცხულია	არ არის აღრიცხული
		ა/გ	ა/გ
<p>თუკი შეფასების ზემოთმოყვანილი ნებისმიერი კრიტერიუმის საფუძველზე მოსალოდნელია, რომ ქვეპროექტი იყოს მაღალი რისკის მატარებელი, ის მაღალი რისკის ქვეპროექტად განიხილება. უნდა ჩატარდეს გარემო ზემოქმედების მიმოხილვა და მომზადდეს გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმა.</p> <p>თუკი შეფასების ზემოთმოყვანილი კრიტერიუმების საფუძველზე ქვეპროექტი სავარაუდოდ არ არის მაღალი რისკის მატარებელი, ის დაბალი რისკის ქვეპროექტად განიხილება და უნდა შეივსოს მცირე სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოების გარემოსდაცვითი ღონისძიებების საკონტროლო სია.</p>			

ქვეპროექტების სოციალური რესურსების სკრინინგი

ინფორმაცია სოციალური უსაფრთხოების ზომების სკრინინგის შესახებ		დიახ	არა
1	ინფორმაცია ქვეპროექტების ობიექტების მფლობელობის და კუთვნილების სტატუსის შესახებ არის ხელმისაწვდომი და სარწმუნო? (სკრინინგი ვერ დასრულდება ზემოხსენებულის მოპოვებამდე)	✓	
2	შეზღუდავს თუ არა პროექტი ხალხისათვის მათი ეკონომიკური რესურსების ხელმისაწვდომობას, როგორცაა მიწა, საძოვრები, წყლის რესურსები, კომუნალური სამსახურები ან სხვა რესურსები, რომელზეც ისინი დამოკიდებულნი არიან?		✓
3	პროექტის შედეგად მოსალოდნელია თუ არა ინდივიდების ან ოჯახების განსახლება, ან არსებობს თუ არა მიწის შესყიდვის საჭიროება (სახელმწიფო ან კერძო, დროებით ან მუდმივად) მშენებლობისათვის?		✓
4	მოჰყვება თუ არა პროექტს შედეგად მოსავლის, ხეხილის და სამეურნეო ინფრასტრუქტურის (როგორცაა ბელლები, ეზოს ტუალეტები და სამზარეულოები) დროებითი ან მუდმივი დაკარგვა?		✓
<p>თუკი ზემოხსენებულ რომელიმე კითხვაზე (გარდა შეკითხვისა 1) პასუხი არის “დიახ”, მაშინ გამოყენებული უნდა იქნას OP/BP 4.12 იძულებითი განსახლება და შემამსუბუქებელი ზომები უნდა განხორციელდეს ამ OP/BP 4.12 და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად</p>			
ინფორმაცია კულტურული რესურსების უსაფრთხოების ზომების სკრინინგის შესახებ		დიახ	არა
5	საჭიროებს თუ არა პროექტი მიწის სამუშაოებს ისტორიული, არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების სიახლოვეს?		✓
<p>თუკი პასუხი კითხვაზე 5 არის “დიახ”, მაშინ გამოყენებული უნდა იქნას OP/BP 4.11 ფიზიკური კულტურული რესურსები და შემთხვევით მოპოვებული მასალების მართვა უნდა განხორციელდეს OP/BP-სა და გარემოსდაცვითი ღონისძიებების ჩარჩო დოკუმენტში წარმოდგენილი შესაბამისი პროცედურების შესაბამისად.</p>			

ნაწილი ბ: ზოგადი ინფორმაცია პროექტისა და საპროექტო ტერიტორიის შესახებ

ინსტიტუციონალური და ადმინისტრაციული				
ქვეყანა	საქართველო			
ქვე-პროექტის დასახელება	თელავის მუნიციპალიტეტის სოფ. წინანდალში, შპს “წინანდლის მამულების” საკუთრებაში არსებული ტერიტორიის გარე ელ. მომარაგება			
ქვე-პროექტის მიზნები და საქმიანობა	ქვე-პროექტის ტერიტორია მდებარეობს თელავის მუნიციპალიტეტში – კახეთის რეგიონში, აღმოსავლეთ საქართველო. ქვე-პროექტით გათვალისწინებულია შპს “წინანდლის მამულების” საკუთრებაში არსებული ტერიტორიის (საკადასტრო კოდით 53.03.39.061) ელ. მომარაგების უზრუნველყოფა. ელ. მომარაგების სიმძლავრე შეადგენს 3000 კვტ-ს 10 კვტ ძაბვაზე, ჯამური სიგრძით 2,164 კმ. კაბელები მოეწყობა მიწის ქვეშ და ახმეტა-თელავი-ბაკურციხის გზის გასწვრივ. საქართველოს საგზაო დეპარტამენტმა გასცა წერილობითი თანხმობა, აღნიშნული სამუშაოების განხორციელებაზე. ტრანსფორმატორის, ან ელ. ქვე-სადგურის მოწყობის საჭიროება არ არის და შესაბამისად, ქვე-პროექტით არ არის გათვალისწინებული. ქვე-პროექტის ტექნიკური პროექტი მომზადებულია სს ენერგო-პრო ჯორჯიას მიერ და სამშენებლო სამუშაოებსაც აღნიშნული კომპანია განახორციელებს.			
ინსტიტუციონალური ღონისძიებები (დასახელება და კონტაქტები)	მსოფლიო ბანკი (საპროექტო ჯგუფის უფროსი) ჯოანა მქლინ მესიქი	პროექტის მართვა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი	უსაფრთხოების ზედამხედველობა მგფ ქეთევან პაპაშვილი	ადგილობრივი მხარე და/ან მიმღები თელავის მუნიციპალიტეტი
განხორციელების ღონისძიებები (დასახელება და კონტაქტები)	უსაფრთხოების ზედამხედველობა მსოფლიო ბანკი დარეჯან კაპანაძე გარემოს დაცვა	ადგილობრივი მხარე ზედამხედველობა მშენებლობის ზედამხედველობა საკონსულტაციო კომპანია “ეპტისა”	ადგილობრივი შემმოწმებლები ზედამხედველობა -	კონტრაქტორი ენერგო-პრო
საპროექტო ტერიტორიის აღწერა				
საპროექტო ტერიტორიის დასახელება	სოფელი წინანდალი			

<p>ტერიტორიის ადგილმდებარეობის აღწერა</p>	<p>ქვე-პროექტის ტერიტორია მდებარეობს თელავის მუნიციპალიტეტში – კახეთის რეგიონში, აღმოსავლეთ საქართველო. სამშენებლო ტერიტორიაზე მისვლა თბილისიდან შესაძლებელია თბილისი-თელავის საავტომობილო გზით, ხოლო მანძილი თბილისიდან შეადგენს დაახლოებით 150 კმ-ზე.</p>
<p>ვინ არის მიწის მფლობელი?</p>	<p>სახელმწიფო მფლობელობაში არსებული მიწა</p>
<p>გეოგრაფიული, ფიზიკური, ბიოლოგიური, გეოლოგიური, ჰიდროგრაფიული და სოციო-ეკონომიკური კონტექსტის აღწერა</p>	<p>სოფ. წინანდალი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთის რეგიონის თელავის მუნიციპალიტეტში.</p> <p>ის წარმოადგენს კახეთის რეგიონის და თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრს და მდებარეობს გომბორის მთის ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთის ძირში, ალაზნის ველზე, სიმაღლე ზღვის დონიდან: 550-800 მ.</p> <p>თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბევრი მდინარეა. ძირითადი მდინარეა ალაზანი. აღნიშნული მდინარის მარცხენა შენაკადებია: ინწობა, ჭელთი, დურუჯი, ბურსა, შოროხევი და სხვ. მდინარეები.</p> <p>თელავის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად რესურსს წარმოადგენს ეკოლოგიურად სუფთა სასმელი წყალი.</p> <p>მდინარე დურუჯის კალაპოტში ინერტული მასალების შეუზღუდავი რესურსი მოიპოვება, რომლისთვისაც დამახასიათებელია მაღალი მდგრადობა, რის გამოც შესაძლებელია მათი გამოყენება უნიკალური სამშენებლო მასალებისა და საყოფაცხოვრებო ნივთების წარმოებისთვის.</p>
<p>სამშენებლო მასალების, განსაკუთრებით ინერტული მასალების, წყლის, ქვების მდებარეობა და მანძილი</p>	<p>ადგილობრივი სამშენებლო მასალების ტრანსპორტირების საშუალო მანძილი შეადგენს დაახლოებით 10 კმ-ს.</p> <p>სამშენებლო ტერიტორიაზე წყლის მიწოდება განხორციელდება წყლის რეზერვუარებიდან, ხოლო სასმელი წყლის უზრუნველყოფა მოხდება პლასტიკური ბოთლებით.</p> <p>ზოგი ამოთხრილი მასალის უკუჩაყრა მოხდება, ზოგიერთი დამატებითი მასალის ტრანსპორტირება კი მოხდება ლიცენზირებული ობიექტებიდან – სავარაუდო მანძილი 5-10 კმ.</p> <p>სამშენებლო ნარჩენების გადაყრა მოხდება თელავის მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე.</p>
<p>კანონმდებლობა</p>	
<p>პროექტით გათვალისწინებულ საქმიანობასთან დაკავშირებული ეროვნული, ადგილობრივი კანონმდებლობა და</p>	<p>მსოფლიო ბანკის პოლიტიკის და გარემოსდაცვითი მართვის ჩარჩო დოკუმენტის თანახმად, ქვე-პროექტი განისაზღვრა დაბალი რისკის მქონე “ბ” კატეგორიად. ქვე-პროექტი დამტკიცებულია თელავის მუნიციპალიტეტის მიერ.</p> <p>საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საქმიანობა არ ექვემდებარება რაიმე სახის გარემოსდაცვით კვლევას, დამტკიცებას, ან ნებართვის აღებას, აღნიშნულ ქვე-პროექტთან მიმართებაში. თუმცა</p>

<p>ნებართვები</p>	<p>ეროვნული მარეგულირებელი სისტემის თანახმად:</p> <ul style="list-style-type: none"> (i) სამშენებლო მასალები მოწოდებული უნდა იქნას ლიცენზირებული მომწოდებლებისგან; (ii) იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტორი მონდომებს კარიერების გახნას, ან მასალების ამოღებას მდინარის კალაპოტიდან (აღნიშნული (iii) მასალების სხვა პროვაიდერებისგან შესყიდვის ნაცვლად), კონტრაქტორი ვალდებულია მიიღოს აღნიშნული მასალების მოპოვების ლიცენზია; (iv) იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტორი მონდომებს საკუთარი ასფალტის, ან ბეტონის ქარხნის ამუშავებას (აღნიშნული მასალების სხვა პროვაიდერებისგან შესყიდვის ნაცვლად), კონტრაქტორი ვალდებულია მიიღოს გარემოსდაცვითი ნებართვა, რომელიც განსაზღვრავს ემისიებში დამაბინძურებელი კონცენტრაციების მაქსიმალურ მაჩვენებელს; (v) სამშენებლო ნარჩენების გატანა ნაგავსაყრელზე, ან მიწის სამუშაოების დროს წარმოქმნილი ინერტული მასალების საბოლოო განთავსება სპეციალურად შერჩეულ ტერიტორიაზე, აუცილებელია შეთანხმდეს ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან წერილობითი ფორმით. <p>აუცილებელია სახელმწიფო სტანდარტების (GOST) და სამშენებლო ნორმების და წესების (SNIP) დაცვა</p>
<p>დოკუმენტი ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა 2018 წლის 16 ივლისს</p>	
<p>დანართები</p>	
<p>დანართი 1. საქართველოს საგზაო დეპარტამენტის თანხმობის წერილი</p>	

ნაწილი ბ: უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაცია

გარემოსდაცვითი/სოციალური სკრინინგი			
	საქმიანობა/საკითხი	სტატუსი	დაწყებული საქმიანობა
ითვალისწინებს თუ არა პროექტით გათვალისწინებული საქმიანობა წარმოდგენილ საკითხებს ?	ა. შენობის რეაბილიტაცია	<input checked="" type="checkbox"/> დიახ [] არა	იხ. ქვემოთ ნაწილი ა
	ბ. ახალი მშენებლობა	[] დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი ა
	გ. ინდივიდუალური წყალგამწმენდი სისტემა	[] დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი ბ
	დ. ისტორიული შენობა (შენობები) და უბნები	[] დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი გ
	ე. მიწის შექმნა ¹	[] დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი დ
	ვ. სახიფათო, ან ტოქსიკური მასალები ²	[] დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი ე
	ზ. ზეგავლენა ტყეებზე და/ან დაცულ ტერიტორიებზე	[] დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი ვ
	თ. სამედიცინო ნარჩენების დამუშავება/მართვა	[] დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი ზ
	ი. სატრანსპორტო და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება	<input checked="" type="checkbox"/> დიახ [] არა	იხ. ქვემოთ ნაწილი თ

¹ მიწის შექმნა ითვალისწინებს ადამიანების განსახლებას, საცხოვრებელი პირობების შეცვლას, მათ კერძო საკუთრებაზე შესვლით. აღნიშნული ეხება შესაძენ/გადასაცემ მიწას, რაც იწვევს თვითნებურად დასახლებულ და/ან იმ ადამიანების დაზარალებას, რომელნიც ცხოვრობენ და/ან მუშაობენ (ჯიხურები) შესაძენ მიწაზე.

² ტოქსიკური/სახიფათო მასალები მოიცავს, მაგრამ არ არის შეზღუდული შემდეგით: აზბესტი, ტოქსიკური საღებავები, სახიფათო გამხსნელი, ტყვიის შემცველი საღებავის მოხსნა და სხვ.

ნაწილი გ. შემამსუბუქებელი ზომები

საქმიანობა	პარამეტრი	შემამსუბუქებელი ზომების ჩამონათვალი
ზოგადი პირობები	შეტყობინება და პერსონალის უსაფრთხოება	<ul style="list-style-type: none"> (ა) მშენებლობის და გარემოსდაცვითი საკითხების ადგილობრივი მაკონტროლებელი ორგანოები და საზოგადოება ინფორმირებულები არიან მოსალოდნელი საქმიანობის შესახებ (ბ) საზოგადოებას აღნიშნული სამუშაოების შესახებ ეცნობა მედიაში და/ან საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომ საიტებზე (მათ შორის სამუშაოებისთვის განსაზღვრული საიტის ჩათვლით) განთავსებული შესაბამისი შეწყობინებით (გ) მიღებულია მშენებლობის და/ან რეაბილიტაციისთვის კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ნებართვა (დ) კონტრაქტორი ოფიციალურად თანახმაა, რომ ყველა სახის სამუშაო განხორციელდეს უსაფრთხო და დისციპლინირებული სახით, რაც ემსახურება ზეგავლენის მინიმუმაციას მეზობელ მაცხოვრებლებსა და გარემოზე. (ე) პერსონალის უსაფრთხოების აღჭურვილობა შეესაბამება კარგ საერთაშორისო პრაქტიკას (ყოველთვის დამცავი შლემები, საჭიროების შემთხვევაში ნიღბები და უსაფრთხოების სათვალეები, ფორმები და უსაფრთხო ბოტები) (ვ) საპროექტო ტერიტორიებზე განთავსებული შესაბამისი საინფორმაციო დაფები მიუთითებს მუშებს შესასრულებელი ძირითადი წესებისა და ინსტრუქციების შესახებ.
	ჰაერის ხარისხი	<ul style="list-style-type: none"> (ა) შიდა ნგრევის პროცესში წარმოქმნილი სამშენებლო ნარჩენების დაყრა მოხდება პირველი სართულის ზემოთ; (ბ) ნგრევის შედეგად წარმოქმნილი ნაგვის შენახვა მოხდება კონტროლირებად ტერიტორიაზე და მტვრის შემცირების მიზნით დაინამება წყლით; (გ) პნევმატური ბურღვის/კედლის ნგრევის პროცესში, მტვრის შეკავება მოხდება წყლის ნაკადით და/ან მტვრის დამცავ ბარიერების მოწყობით შესაბამის ტერიტორიაზე; (დ) აუცილებელია ობიექტის ირგვლივ (ტორტუარები, გზები) უნდა დასუფთავდეს ნაგვისგან მტვრის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით; (ე) არ მოხდება სამშენებლო/ნარჩენი ნაგვის ღია წვა ობიექტის ტერიტორიაზე; (ვ) არ ექნება ადგილი სამშენებლო სატრანსპორტო საშუალებების ზედმეტ მიმოსვლას საპროექტო ტერიტორიებზე.
	ხმაური	<ul style="list-style-type: none"> (ა) სამშენებლო სამუშაოებით გამოწვეული ხმაური შეიზრუდება ნებართვით განსაზღვრული დროის შესაბამისად; (ბ) საქმიანობის დროს, აუცილებელია გენერატორების, საჰაერო კომპრესორების და სხვა მექანიკური აღჭურვილობის სახურავების დახურვა და მათი განთავსება დასახლებული პუნქტებისგან რაც შეიძლება შორს.
	წყლის ხარისხი	<p>(ა) სამშენებლო ტერიტორიაზე აუცილებელია გატარდეს ეროზიისა და ნალექების კონტროლის შესაბამისი ღონისძიებები, როგორცაა მაგალითად თივის შეკვრა და/ან ქვიშის შემაკავებლები ღობეების მოწყობა, რაც უზრუნველყოფს საპროექტო ტერიტორიიდან ნალექების ჩარეცხვისა და მეზობლად მდებარე ნაკადულებსა და მდინარეებში ზედმეტი სიმღვრივის თავიდან აცილებას.</p>
	ნარჩენების მართვა	<ul style="list-style-type: none"> (ა) ნარჩენების შეგროვებისა და გადაყრის გზები და ტერიტორიები განისაზღვრება ნგრევისა და სამშენებლო სამუშაოებისას წარმოქმნილი ყველა ძირითადი ტიპის ნარჩენებისათვის გამოიწვიოს. (ბ) მშენებლობით და ნგრევით გამოწვეული მინერალური ნარჩენები განთავსდება საერთო ნარჩენებისგან, ორგანული, ლიკვიდური და ქიმიური ნარჩენებისგან განცალკევებით, საპროექტო ტერიტორიაზე

		<p>განხორციელებული სორტირების გზით და შესაბამის კონტეინერებში განთავსებით. (გ) სამშენებლო ნარჩენების სათანადო შეგროვება და გადაყრა განხორციელდება შესაბამისი ლიცენზიის მქონე ორგანიზაციის მიერ;</p> <p>(დ) წარმოება ნაგვის გადაყრასთან დაკავშირებით საჭიროა ჩანაწერების, მათი სათანადო მართვის დასაბუთების მიზნით, როგორც ეს გეგმითაა გათვალისწინებული.</p> <p>(ე) შესაძლებლობის შემთხვევაში, კონტრაქტორს შეუძლია გამოიყენოს და მოახდინოს სათანადო და მოქმედი მასალების რეციკლირება (აზბესტის გარდა).</p>
<p>სატრანსპორტო საშუალებებისა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება</p>	<p>სამშენებლო საქმიანობით გამოწვეული პირდაპირი, ან არაპირდაპირი საფრთხე საზოგადოებრივ სატრანსპორტო მოძრაობაზე და ფეხით მოსიარულეებზე</p>	<p>ადგილობრივი კანონმდებლობის თანახმად, კონტრაქტორი ვალდებულია უზრუნველყოს სამშენებლო ტერიტორიის სათანადო დაცვა და მშენებლობასთან დაკავშირებული ტრანსპორტის მოძრაობის რეგულირება. აღნიშნული მოიცავს, მაგრამ არ ზღუდავს შემდეგ საკითხებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • გამაფრთხილებელი საგზაო ნიშნები, ბარიერები და შესახვევები: აუცილებელია საპროექტო ტერიტორიის ხილვადობის უზრუნველყოფა და საზოგადოების გაფრთხილება ყველა პოტენციური საფრთხის შესახებ; • ტრანსპორტის მოძრაობის შესაბამისი მართვის სისტემა და პერსონალის ტრეინინგი, განსაკუთრებით საპროექტო ტერიტორიის მისასვლელად ხელმისაწვდომობისა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე გადატვირთული სატრანსპორტო მოძრაობის თავიდან აცილებისათვის. სამშენებლო ტრანსპორტო მოძრაობის გადაკვეთის წერტილებში ფეხით მოსიარულეთათვის უსაფრთხო გადასასვლელების და გასასვლელების უზრუნველყოფა. • სამუშაო საათების დაგეგმვა ადგილობრივი ტრანსპორტის მოძრაობის მონაცემებზე დაყრდნობით, მაგ. ძირითადი ტრანსპორტის მოძრაობის თავიდან აცილება პიკის საათებისა და შინაური ცხოველების მოძრაობის დროს; • საპროექტო ტერიტორიაზე ტრანსპორტის მოძრაობის აქტიური მართვა მცოდნე პერსონალის მიერ და ხილვადი ადგილია, თუ ეს გამოწვეულია უსაფრთხოების საჭიროებით და მოსახერხებელი გასასვლელის შექმნა საზოგადოებისთვის. • უსაფრთხო და უწყვეტი მიმოსვლის უზრუნველყოფა ოფისებთან, მაღაზიებთან და საცხოვრებლებთან აღდგენითი სამუშაოების პროცესში, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ნაგებობები ღია საზოგადოებისთვის.

დანართი 2: გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა

რა (პარამეტრი ექვემდებარე ბა მონიტორინგ ს?)	სად (არის პარამეტრი, რომელიც ექვემდებარება მონიტორინგს?)	როგორ (უნდა განხორციელდეს პარამეტრის მონიტორინგი?)	როდის (განსაზღვრეთ სიხშირე/ან უწყვეტობა?)	რატომ (ხდება პარამეტრის მონიტორინგი?)	ვინ (არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?)	როგორც (უნდა განხორციელდეს პარამეტრის მონიტორინგი?)
სამშენებლო ფაზა						
სამშენებლო მასალებით უზრუნველყო ფა	სამშენებლო მასალების შეძენა მხოლოდ ოფიციალურად დარეგისტრირებული მომწოდებლებისაგან	მომწოდებლის ოფისში, ან საწყობში	დოკუმენტების შემოწმება	მომწოდების კონტრაქტების გაფორმებისას	ინფრასტრუქტურის ტექნიკური მდგრადობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით	მგვ, მშენებლობის ზედამხედველი
სამშენებლო მასალების და ნარჩენების ტრანსპორტირე ბა; სამშენებლო მექანიზმების გადაადგილება	სატრანსპორტო საშუალებების და მექანიზმების ტექნიკური მდგომარეობა ტრანსპორტირების განსაზღვრული საათებისა და მარშრუტების დაცვა	სამშენებლო ტერიტორია	შემოწმება	გაუფრთხილებელი შემოწმებები, როგორც სამუშაო, ისე არა სამუშაო საათებში	მიწისა და ჰაერის ემისიებისაგან დაბინძურების შემცირება; ხმაურით და ვიბრაციით ადგილობრივი საზოგადოებების შეწუხების შეზღუდვა; ტრანსპორტის მოძრაობის დარღვევის მინიმუმამდე დაყვანა;	მგვ, მშენებლობის ზედამხედველი, სატრანსპორტო პოლიცია

რა (პარამეტრი ექვემდებარე ბა მონიტორინგ ს?)	სად (არის პარამეტრი, რომელიც ექვემდებარება მონიტორინგს?)	როგორ (უნდა განხორციელდეს პარამეტრის მონიტორინგი?)	როდის (განსაზღვრეთ სიხშირე/ან უწყვეტობა?)	რატომ (ხდება პარამეტრის მონიტორინგი?)	ვინ (არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?)	როგორც (უნდა განხორციელდეს პარამეტრის მონიტორინგი?)
მიწის სამუშაოები	ამოღებული გრუნტის დროებითი შენახვა წინასწარ განსაზღვრულ და შეთანხმებულ ტერიტორიებზე; ამოღებული გრუნტის უკუჩაყრა და/ან განთავსება ოფიციალურად გამოყოფილ ტერიტორიებზე; შემთხვევითი აღმოჩენების შემთხვევაში, სამუშაოების დაუყოვნებლივ შეწყვეტა და აღნიშნულის შესახებ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინფორმირება და სამუშაოების განახლება მხოლოდ სამინისტროსგან ოფიციალური თანხმობის მიღების შემდეგ	სამშენებლო ტერიტორია	შემოწმება	მიწის სამუშაოების პროცესში	სამშენებლო და და მისი მდებარე ტერიტორიის სამშენებლო ნაგვით დაბინძურების თავიდან აცილება ფიზიკური კულტურული რესურსების დაზიანების და დაკარგვის თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი,

რა (პარამეტრი ექვემდებარე ბა მონიტორინგ ს?)	სად (არის პარამეტრი, რომელიც ექვემდებარება მონიტორინგს?)	როგორ (უნდა განხორციელდეს პარამეტრის მონიტორინგი?)	როდის (განსაზღვრეთ სიხშირე/ან უწყვეტობა?)	რატომ (ხდება პარამეტრის მონიტორინგი?)	ვინ (არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?)	როგორც (უნდა განხორციელდეს პარამეტრის მონიტორინგი?)
ინერტული მასალების წყარო	<p>მასალების შექმნა არსებული მომწოდებლებისაგან, თუ ეს შესაძლებელია; სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მიღება მშენებელი კონტრაქტორის მიერ და ლიცენზიის პირობების მკაცრი დაცვა;</p> <p>კარიერის ტერასებად დაყოფა, კარიერის დამუშავებული ადგილების უკუჩაყრა და ლანდშაფტთან ჰარმონიზაცია; მდინარის კალაპოტიდან ხრეშისა და ქვიშის ამოღება, ხრეშის დამცავი ბარიერების მოწყობა მოპოვების ტერიტორიასა და წყლის ნაკადს შორის. დაუშვებელია მექანიზმების შესვლა წყლის ნაკადში.</p>	კარიერის ზონები	დოკუმენტების შემოწმება სამუშაოების შემოწმება	მასალების დამუშავების პროცესში	ქანობების ეროზიის და ეკოსისტემების და ლანდშაფტების დეგრადაციის შემცირება; <p>მდინარის ნაპირების ეროზიის, წყლის შეწონილი ნაწილაკებით დაბინძურების და წლის ცხოველების საარსებო პირობების დარღვევის შემცირება.</p>	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი

რა (პარამეტრი ექვემდებარე ბა მონიტორინგ ს?)	სად (არის პარამეტრი, რომელიც ექვემდებარება მონიტორინგს?)	როგორ (უნდა განხორციელდეს პარამეტრის მონიტორინგი?)	როდის (განსაზღვრეთ სიხშირე/ან უწყვეტობა?)	რატომ (ხდება პარამეტრის მონიტორინგი?)	ვინ (არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?)	როგორც (უნდა განხორციელდეს პარამეტრის მონიტორინგი?)
სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა	სამშენებლო ნარჩენების დროებითი შენახვა სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში; ნარჩენების დროულად გადაყრა ოფიციალურად გამოყოფილ ადგილებში	სამშენებლო ტერიტორია; ნაგავსაყრელი ტერიტორია	შემოწმება	პერიოდულად მშენებლობისას და საჩივრების საფუძველზე	სამშენებლო და მის მეზობლად მდებარე ტერიტორიების მყარი ნარჩენებისგან დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით	მგვ, მშენებლობის ზედამხედველი
ტრანსპორტის მოძრაობის დარღვევა და ფეხით მოსიარულეთა მიმოსვლის შეზღუდვა	სატრანსპორტო მოძრაობის შეზღუდვის/შესახვევის ნიშნების დადგმა; სამშენებლო მასალების შენახვა და სამშენებლო ნაგვის დროებითი განთავსება ისე, რომ თავიდან იქნას აცილებული საცობები მისასვლელ გზებზე;	სამშენებლო ტერიტორიაზე და მის გარშემო	შემოწმება	სამშენებლო სამუშაოების პროცესში	ადგილობრივი მაცხოვრებლების დისკომფორტის შემცირების მიზნით;	მგვ, მშენებლობის ზედამხედველი

რა (პარამეტრი ექვემდებარე ბა მონიტორინგ ს?)	სად (არის პარამეტრი, რომელიც ექვემდებარება მონიტორინგს?)	როგორ (უნდა განხორციელდეს პარამეტრის მონიტორინგი?)	როდის (განსაზღვრეთ სიხშირე/ან უწყვეტობა?)	რატომ (ხდება პარამეტრის მონიტორინგი?)	ვინ (არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?)	როგორც (უნდა განხორციელდეს პარამეტრის მონიტორინგი?)
მუშების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	მუშების ფორმებით და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით აღჭურვა; მუშების და პერსონალის ინფორმირება მექანიზმებთან/აღჭურვილ ობასთან მუშაობისას ინდივიდუალური უსაფრთხოების წესების და ინსტრუქციების შესახებ და ასევე აღნიშნული წესების/ინსტრუქციების მკაცრი დაცვის შესახებ	სამშენებლო ტერიტორია	შემოწმება	გაუფრთხილებელი შემოწმება სამუშაოების მსვლელობისას	უბედური და გაუთვალისწინებელი შემთხვევების თავიდან აცილები მიზნით	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
საოპერაციო ფაზა						
განათების ინფრასტრუქტურის მოვლა- პატრონობა	კაბელებისა და სხვა ელექტრო აღჭურვილობის კარგი ტექნიკური მდგომარეობა	განათებული ქუჩები	შემოწმება	სისტემის ექსპლოატაციის მასშტაბით	ელ. წყაროებთან დაკავშირებული უბედური შემთხვევების თავიდან აცილება	თელავის მუნიციპალიტეტი
სატრანსპორტო მომართობის და ფებით მოსარულეთა მოსასვლელების მოშლა მოვლა- პატრონობის პროცესში	მოვლა-პატრონობის სამუშაოების დაგეგმვა ქუჩებზე ნაკლებად დატვირთულ საათებში და მოვლა-პატრონობის ტერიტორიის მონიშვნა შესაბამისი ნიშნებით	რეაბილიტირებულ ი გზა და ინფრასტრუქტურა	შემოწმება	საპროექტო ტერიტორიების ექსპლოატაციის მასშტაბით	ადგილობრივი მოსახლეობის შეწუხების მინიმუმამდე დაყვანა	თელავის მუნიციპალიტეტი



საქართველოს რეპროდუქციული განვითარებისა და მშრომობის სამსახურის სამსახური
საქართველოს საავტორობიო ბუკის რეგისტრაცია

N 2-03/6948
15/06/2018

6948-2-03-2-201806151052



საქციო საზოგადოება "ენერჯი-პრო ჯორჯია"-ს განვითარების
მრეწველ ბატონ ზდენეც ვესელს

ასლი: შ.პ.ს. „ჯეოშენი 2005“-ის დირექტორს
ბატონ ტარიელ ლაშაშვილს

ასლი: უცხოური საქარბის ფილიალს „სს ინსტიტუტი იგპ.
საქციო საზოგადოება სამოქალაქო მშენებლობის
კვლევებისა და განვითარების საკითხებში“

საქართველოს საავტორობიო ბუკის დეპარტამენტი, ითვალისწინებს რა საქციო საზოგადოება "ენერჯი-პრო ჯორჯია"-ს N2244308 31.05.2018 წ. მიმართვას, არ არის წინააღმდეგი თელავის მუნიციპალიტეტის სოფ. წინანდლის მიმდებარე ტერიტორიაზე, არსებული შპს „წინანდლის მამულების“ კუთვნილი ობიექტის (ს/კ 53.03.39.061) გარე ელექტრომომარაგების ქსელში ჩართვისათვის, მიდსახელწინფობრივი მნიშვნელობის ახეტა-თელავი-ბაკურციხის საავტორობიო ბუკის კმ37+3476-კმ37+7898 მონაკვეთზე, ღერბიდან მარჯვენა მხარეს, ახალი 10 კვ ძაბვის საკაბელო ელ.გადამცემი ხაზის გატარებისათვის, გაიჭრას ტრანშეა და წესით, და განხორციელდეს საგალი ნაწილის განივი გადაკვეთა დახურული წესით შემდეგი ტექნიკური პირობების დაცვით:

1. 10 კვ ძაბვის ელ.გადამცემი საკაბელო ხაზის გატარებისათვის, გაიჭრას ტრანშეა 0.80-1.8 სირღმით, ს/გზის ღერბიდან მარჯვენა მხარეს, ს/გზის ელემენტების (ვერდულის / საორიენტაციო მოწკინებების / გარეგანათების დგარების / თვალაშრიდის / ტროტუარის / კიუვეტის / ყრილის მირის) დარღუდვებს გარეთ მაქსიმალური დამორებით, წარმოადგენილი დანართის სტუმის შესაბამისად, საგზაო ინფრასტრუქტურის, მიმდებარე ლანდშაფტისა და ადგილზე არსებული სხვა კომუნიკაციების ელემენტების დაზიანების გარეშე.

2. ტრანშეაში კაბელის გარსაგმი მილის მოწყობისას, თბრილის ქვედა ნაწილი უნდა შეიცავს ქვიზ-ხრების ფენით (ბ=15სმ), ზედა - თბრილიდან ამოღებული გრუნტის უჯრუტყრით, თბრილის შემცვერელი მასალა უნდა დაიტკეპნოს 15-20 სმ სისქის ფენებად. კაბელის ტრასირების ზოლში ლანდშაფტის ელემენტები ადდგენილი უნდა იქნეს პირვანდელის ანალოგიურ მდგომარეობაში.

3. საკაბელო ხაზით საცალი ნაწილის განივი გადაკვეთა გახორციელდეს დახურული წესით (მორიზინტალური ზურღის/გრუნტის გამოჭირების მეთოდით). კომუნიკაციის გარსები მილის ზედა მხაზელის ჩაღრმავებას ასფალტ-ბეტონის საშლის ზედაპირიდან უნდა შეადგინოს 0,8-1,0 მ. მიწის ვაკისის განივად გადაკვეთის სამუშაოები უნდა ჩატარდეს მიმდებარე ლანდშაფტისა და ადგილზე არსებული სხვა კომუნიკაციების ელემენტების დაზიანების გარეშე.

4. საკაბელო ელ.კადამეები ხაზის ტრანშიის გაჭრის და გადაკვეთის ადგილები წინასწარ სამუშაოების დაწყებამდე უნდა დაზუსტდეს, სკვანის მოვლა-შენახვის სამუშაოების შემსრულებელი კონტრაქტორი ორგანიზაციის - შ.პ.ს. „გზამშენი 2005“-ის და უცხოური საწარმოს ფილიალის „სს ინსტიტუტი იგ.პ. სააქციო საზოგადოება სამოქალაქო მშენებლობის კვლევებისა და განვითარების საკითხებში“ წარმომადგენელთან ერთად.

5. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების მიმდინარეობისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს სატრანსპორტო ნაკადების შეუფერხებელი მოძრაობა. საჭიროების შემთხვევაში სატრთველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ქვედანაყოფთან შეთანხმებით უნდა დაიდგას შესაბამისი გამაფრთხილებელი საგზაო ნიშნები.

6. ელ.კადამეები ხაზის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესასრულებლად სკვანის საცალ ნაწილზე და გვერდულზე მუხლუხა მექანიზმების გადაადგილება კატეგორიულად იკრძალება. სამონტაჟო სამუშაოების მიმდინარეობისას აკრძალულია საავტომობილო გზის საცალ ნაწილზე და/ან გვერდულზე საშენი მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების და სხვ. დაყრა. ასევე ავტოტრანსპორტის გაჭრება და დგომა. ელ.კადამეები ხაზის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების დასრულებისთანავე (ეს იქნება ტრანშეა/დეარტის ფუნდამენტები ან სხვა) მიწის სამუშაოებიდან დარჩენილი ზედმეტი გრუნტი, ან სხვა სამშენებლო ნარჩენები უნდა იქნეს გატანილი ნაყარში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან შეთანხმებულ ადგილზე.

7. სამუშაოების წარმოებისას საავტომობილო გზის და/ან მიმდებარე ლანდშაფტური ელემენტების დაზიანების შემთხვევაში, სამონტაჟო სამუშაოების დამთავრების შემდეგ უნდა მოხდეს მათი მოვლენა პირვანდელ მდგომარეობაში, საბუღალს მშარმოებელი ორგანიზაციის ძალებითა და დაქვეითის სახსრებით.

8. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების დაწყების და დამთავრების გრაფიკები (დრო და ხანგრძლივობა) შეთანხმებული უნდა იქნეს შ.პ.ს. „გზამშენი 2005“-თან და სატრთველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ქვედანაყოფთან.

9. საავტომობილო გზის იმ მონაკვეთის განთიესების ზოლში, რომელიც ელ.კადამეები ხაზის ტრასასთან შეხებაშია, საგზაო სამუშაოების შესრულებისას, თუ ამას საჭიროება მოითხოვს, კომუნიკაციის მეპატრონე ვალდებულია სატრთველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის პირველივე მოთხოვნისთანავე, თავისი სახსრებით (დეპარტამენტის მხრიდან ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე) მოახდინოს კომუნიკაციის დემონტაჟი და გადატანა სხვა ადგილზე. საგზაო სამუშაოების წარმოებისას (შეთანხმებული ტექნიკური პირობების დარღვევით გატარებული) ე.გ. ხაზის დაზიანების შემთხვევაში, საავტომობილო გზების დეპარტამენტი პასუხს არ აგებს. დაზიანება უნდა აღმოიფხვრას კომუნიკაციის მეპატრონის ძალებითა და სახსრებით.

10. ზემოთ აღნიშნული ტექნიკური პირობების შესრულებაზე საერთო კონტროლი ვეალება სატრთველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საავტომობილო გზების მიმდინარე და პერიოდული შეკეთების სამუშაოების კონტროლის და მონიტორინგის სამსახურს, შ.პ.ს. „გზამშენი 2005“-ს და უცხოური საწარმოს ფილიალს „სს ინსტიტუტი იგ.პ. სააქციო საზოგადოება სამოქალაქო მშენებლობის კვლევებისა და განვითარების საკითხებში“.

11. ზემოთ ჩამოთვლილი პირობების დარღვევის შემთხვევაში, საქართველოს სააგრომონილო გზების დეპარტამენტი იტოვებს უფლებას იმოქმედოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

წევარ ასევე



დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე

